



სსიპ იაკობ გოგებაშვილის სახელობის თელავის სახელმწიფო უნივერსიტეტი
ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტი

ქართულ ენაში მომზადების საგანმანათლებლო პროგრამა
Georgian language preparation educational program

მიმართულება/სპეციალობა: (ეროვნული კვალიფიკაციის ჩარჩოში არ არის გათვალისწინებული)

პროგრამის ხელმძღვანელ(ებ):

ელენე ფილაშვილი, ასოცირებული პროფესორი ქართული ენის მიმართულებით, ფილოლოგიის აკადემიური დოქტორი.

საკონტაქტო ინფორმაცია: თესაუ, I კორპუსი, II სართული, ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის, ჰუმანიტარულ მეცნიერებათა დეპარტამენტი; 593 50 42 70; ელ.ფოსტა: elene.pilashvili@tesau.edu.ge

ნუნუ გელდიშვილი, პროფესორი ქართული ენის მიმართულებით, ფილოლოგიის დოქტორი.

საკონტაქტო ინფორმაცია: თესაუ, I კორპუსი, II სართული, ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის, ჰუმანიტარულ მეცნიერებათა დეპარტამენტი; 593 14 64 05; ელ.ფოსტა: nunu.geldiashvili@tesau.edu.ge

1. მიღებულია ფაკულტეტის საბჭოს მიერ
ოქმი №_11_, “_5_” _____ივლისი___ 2019__ წ.

ფაკულტეტის დეკანი

/პროფ. ნ. კოჭლოშვილი/

2. რეკომენდებულია ფაკულტეტისა და უნივერსიტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურების მიერ

ოქმი № 9 , “ 5 ” ივლისი 2019 წ.

უნივერსიტეტის ხარისხის უზრუნველყოფის
სამსახურის ხელმძღვანელი:

/ასოც. პროფ. შ. ჭკადუა/

3. დამტკიცებულია აკადემიური საბჭოს მიერ

ოქმი № 14 , “ 5 ” ივლისი 2019 წ.

უნივერსიტეტის რექტორი

/ასოც. პროფ. ი. შიოშვილი/

თელავი
2019

ფაკულტეტი: ჰუმანიტარულ მეცნიერებათა

დეპარტამენტი: ქართული ფილოლოგიის

საგანმანათლებლო პროგრამის სახელწოდება:

ქართულ ენაში მომზადების საგანმანათლებლო პროგრამა
Georgian language preparation educational program

პროგრამის ხელმძღვანელები:

ელენე ფილაშვილი, ასოცირებული პროფესორი ქართული ენის მიმართულებით, ფილოლოგიის აკადემიური დოქტორი.
საკონტაქტო ინფორმაცია: თესაუ, I კორპუსი, II სართული, ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის, ჰუმანიტარულ მეცნიერებათა დეპარტამენტი; 593 50 42 70; ელ.ფოსტა: [elenepilashvili@mail.ru/](mailto:elenepilashvili@mail.ru) elene.pilashvili@tesau.edu.ge

ნუნუ გელდიანი, პროფესორი ქართული ენის მიმართულებით, ფილოლოგიის დოქტორი.

საკონტაქტო ინფორმაცია: თესაუ, I კორპუსი, II სართული, ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის, ჰუმანიტარულ მეცნიერებათა დეპარტამენტი; 593 14 64 05; ელ.ფოსტა: nunu.geldiashvili@tesau.edu.ge

სწავლების ენა: ქართული

პროგრამის მოცულობა:

ქართულ ენაში მომზადების საგანმანათლებლო პროგრამა განკუთვნილია საქართველოს მოქალაქეებისთვის, რომელთაც დაამთავრეს არაქართულენოვანი (აზერბაიჯანული, სომხური, ოსური, აფხაზური) სკოლა; დღეს არსებული რეალური სიტუაცია ამ ტიპის სკოლებში ვერ უზრუნველყოფს არაქართულენოვანი აბიტურიენტების კონკურენტუნარიანობას ქართულენოვან სკოლადადამთავრებულ აბიტურიენტებთან, რის გამოც სახელმწიფომ აიღო ვალდებულება, საშეღავათო პოლიტიკის ფარგლებში,

ყველა უმაღლეს სასწავლებელში მომზადებულიყო ერთწლიანი (60 კრედიტი) საგანმანათლებლო პროგრამა, რომელიც არაქართულენოვან სტუდენტებისთვის გულისხმობს კვოტის (სუდენტთა მისაღები სრული კონტინგენტის 5-5 პროცენტი - აზერბაიჯანულ და სომხურენოვანი, 1-1 პროცენტი - აფხაზური და ოსურენოვანი აბიტურიენტებისთვის) შემოღებას ყველა (როგორც სახელმწიფო, ასევე - კერძო სასწავლებელში).

პროგრამა ემყარება ცალკეულ სასწავლო კურსებს. პროგრამის ხანგრძლივობაა 1 აკადემიური წელი (2 სემესტრი) 60 ECTS კრედიტი. 30 ESTC კრედიტს გადიან პირველ სემესტრში, ხოლო 30 ESTC კრედიტს - მეორე სემესტრში.

ერთი კრედიტი უტოლდება 25 საათს, რომელიც ფარავს როგორც სააუდიტორიო, ისე დამოუკიდებელ მუშაობას. სალექციო კურსები 5 კრედიტიანია. ასეთი დათვლა შეესაბამება ევროპული კრედიტების ტრანსფერის სისტემას (ECTS).

პროგრამა შედგება 23 სილაბუსისგან. პირველ სემესტრში სტუდენტები გაივლიან ექვს 5-კრედიტიან სასწავლო კურსს (თითოეული კურსი წარმოდგენილია 2 ვერსიად: A და B ბლოკის კურსები. ბლოკებში გადანაწილება ხორციელდება პრეტესტის შედეგების საფუძველზე - შემსწავლელის საწყისი ენობრივი კომპეტენციების მიხედვით განისაზღვრება, თუ რომელ ბლოკს აირჩევს სტუდენტი.

A ბლოკზე სწავლება ხორციელდება მეტი საკონტაქტო საათის საფუძველზე (A ბლოკში თითოეული კურსი კვირეული 5-საათიანი საკონტაქტო საათით განისაზღვრება; კურსი ინტენსიური სწავლების სტრატეგიითაა აგებული და უზრუნველყოფს ამ ბლოკის სტუდენტთა ენობრივი კომპეტენციების დაახლოებას B ბლოკის სტუდენტთა კომპეტენციებთან პირველი სემესტრის ბოლოს. სწავლების მეთოდები და სტრატეგიები ენის ინტენსიური სწავლების კონტექსტში განიხილება.

მეორე სემესტრში 5 სავალდებულო და ერთი არჩევითი სასწავლო კურსია, რომელიც შემსწავლელის ენობრივი კომპეტენციების სხვადასხვა მიმართულების განვითარებას ემსახურება. დამატებით, პროგრამაში შეტანილია ინტერკულტურული სწავლების კომპონენტი, რომელიც წარმოდგენილია კურსის „ტოლერანტობა და მრავალფეროვნება“ სახით და ენისა და საგნის ინტეგრირებული სწავლების პრინციპებს ეფუძნება (კურსი შემუშავდა ეუთოს ეუუკ-ის პროექტის „საქართველოს ახალგაზრდობის მრავალფეროვნებისა და ტოლერანტობისათვის მომზადება“ ფარგლებში).

ამავე სემესტრში პილოტირების ეტაპიდან დანერგვის ეტაპზე გადადის ინოვაციური მიდგომა კითხვის ენობრივი უნარების მიმართულებით - შემუშავებულია არჩევითი დარგობრივი კურსები (6 კურსი); ეს არჩევითი დარგობრივი კურსები შეიქმნა შემსწავლელთა მომავალი პროფესიული არჩევანის გათვალისწინებით და გულისხმობს იმ ტერმინოლოგიის, დარგობრივი

ლექსიკისა და სპეციფიკური კონსტრუქციების სწავლებას, რომლებიც ამა თუ იმ დარგობრივი მიმართულებისთვისაა (ფილოლოგია, ისტორია, მათემატიკა, სამართალი, ბიოლოგია და ბიზნესი/ეკონომიკა) ნიშანდობლივი.

პროგრამაზე დაშვების წინაპირობები:

პროგრამაზე მიღების წინაპირობაა ერთიან ეროვნულ გამოცდებში მშობლიურ ენაზე ზოგად უნარებში მინიმალური კომპეტენციის ზღვრის გადალახვა.

პროგრამის მიზანი:

ქართულ ენაში მომზადების საგანმანათლებლო პროგრამა უზრუნველყოფს ქართული ენის იმგვარ ცოდნას, რომ აბიტურიენტმა შეძლოს:

- ✓ წარმატებული კომუნიკაცია ქართულ ენაზე;
- ✓ სხვადასხვა მიზნით, სხვადასხვა აუდიტორიისათვის, სხვადასხვა ტიპის (როგორც ზეპირი, ასევე წერილობითი) ტექსტების ადეკვატურად გაგება და შექმნა (ტექსტის სტრუქტურაში გარკვევა და მის ნაწილებს შორის კავშირის გააზრება);
- ✓ ქართული ენის ცოდნისა და უნარების შემდგომი გაღრმავება და გამდიდრება დამოუკიდებლად (ე. წ. “სწავლის სწავლის” კომპონენტი).
- ✓ ქართული ენობრივ-კულტურული თვითმყოფადობისა და ღირებულებების გაცნობა, დაფასება და პატივისცემა; ამ სტანდარტის დაფარვის შემთხვევაში მისაღწევია ზოგადევროპული სისტემის მიხედვით განსაზღვრული შემდეგი ენობრივი კომპეტენციები:
- ✓ გრამატიკული (სინტაქსური და მორფოლოგიური) წესების გამოყენებით ლექსიკური მარაგის გააზრებულ გამოთქმებად გარდაქმნა და ქართული ენის ნორმების შესატყვისად აგებული კონსტრუქციების შექმნა (ლინგვისტური კომპეტენცია);
- ✓ ენობრივი ფორმების სიტუაციის (კონტექსტის - ვინ, ვისთან, სად, რის გამო, რა მიზნით ამყარებს ურთიერთობას) შესაბამისად შერჩევა და გამოყენება (სოციოლინგვისტური კომპეტენცია);

- ✓ ზეპირი და წერილობითი ტექსტის სტრუქტურაში გარკვევა და მის ნაწილებს შორის კავშირის გაგება და გააზრება (დისკურსული კომპეტენცია);
- ✓ მოცემულ სოციოკულტურულ გარემოში თავისუფლად ორიენტირება: აზრის გამოთქმის, კამათის, დისკუსიისა და პრეზენტაციის სტრატეგიების დაუფლება და გამოყენება (სოციოკულტურული კომპეტენცია);
- ✓ მოცემულ სოციალურ გარემოში პიროვნების ადეკვატური თვითგამოხატვის უზრუნველყოფისათვის აუცილებელი უნარების დაუფლება და გამოყენება (სოციალური კომპეტენცია);
- ✓ ვერბალური და არავერბალური საშუალებებით, ენის შეზღუდულად ფლობის პირობებში, არსებული ხარვეზის გადაფარვა (სტრატეგიული კომპეტენცია).

სწავლის შედეგი:

შეესაბამება პროგრამის მიზნებს და მოიცავს შინაარსით გათვალისწინებულ საბაზისო ცოდნასა და ენობრივ უნარებს.

ცოდნა და გაცნობიერება

- საბაზისო ცოდნის მიღება ქართული ენის თაობაზე; წარმოდგენა ზოგადად ქართულ ენაზე და მის მნიშვნელობაზე.
- ქართული ენის სტრუქტურაში (ფონეტიკა-ფონოლოგია, მორფოლოგია, სინტაქსი), აგრეთვე ლექსიკოლოგიის ზოგად მახასიათებლებში გარკვევა და მათი საერთო ნიშნების ცოდნა.
- ქართული ენის საბაზისო ლექსიკური მარაგის ათვისება.
- ქართული ლიტერატურული და ფოლკლორული შედეგების შესახებ ზოგადი წარმოდგენის შექმნა;
- ენობრივი კონტაქტების ძირითად ასპექტთა (პოლიტიკური ფონი, კულტურული ურთიერთგაცვლა, ენობრივი ნასესხობანი და სხვ.) გაცნობა.

უნარი

- ქართული ენის პრაქტიკული გამოყენება გარკვეული (შერჩეული ფაკულტეტის სპეციფიკის გათვალისწინებით) წერილობითი და ზეპირმეტყველების მიზნებისათვის;

- საუბრის წარმართვის უნარ-ჩვევები.
- ქართულ ენაზე სპეციფიკური (დარგობრივი მიმართულების) ტექსტების მოსმენის, გაგების, თარგმნის, ანალიზის, ინტერპრეტაციისა და რეპროდუქციის უნარი.
- ქართული ენის სხვადასხვა ტიპის ლექსიკონების გამოყენების უნარი.
- საბიბლიოთეკო ფონდებზე მუშაობის, სხვადასხვა ტიპის ტექსტის რედაქტირების, კომენტირებისა და ანოტირების უნარი.
- პროფესიულ სფეროებში ადაპტაციის უნარი. კონკრეტული, ვიწრო დარგობრივი მონაცემების გააზრება, როგორც ლინგვისტური, ისე ისტორიულ-კულტუროლოგიური მონაცემების კონტექსტში.
- ენობრივი პროცესების ელემენტარული შეფასებისა და ანალიზის უნარი. კონკრეტული ენობრივი ფაქტების განზოგადებისა და ისტორიულ კონტექსტში განხილვის უნარი.
- მოპოვებული ინფორმაციის დამუშავებისა და სინთეზის უნარი;
- მასალის ლოგიკურად აწყობის, ჩამოყალიბებისა და მისაღები ფორმულირებით გადმოცემის უნარი.
- დისკუსიაში პროფესიული ტერმინოლოგიის გამოყენებით მონაწილეობის უნარი;
- არგუმენტირების, კრიტიკული შეფასების, სათანადო წერილობითი დასკვნის (შეჯამების) ჩამოყალიბების უნარი;
- სისტემის (სტრუქტურის) შემადგენელი ცალკეული ელემენტების ურთიერთქმედების გააზრების უნარი;
- განსაზღვრას თუ რა ცოდნა და უნარები უნდა შეიძინოს ახალი დავალების განსახორციელებლად; განსაზღვრავს სწავლის საჭიროებებს და ამის საფუძველზე გეგმავს საჭირო სტრატეგიებს დავალების თითოეული ეტაპისათვის.

პასუხისმგებლობა და ავტონომიურობა:

- საკუთარი სასწავლო საჭიროებების ადეკვატურად შეფასებისა და დაგეგმვის უნარი.
- დაგეგმვისა და ორგანიზების უნარი;
- ინფორმაციის დამოუკიდებლად მოპოვების უნარი, როგორც პირველადი, ისე მეორადი საინფორმაციო წყაროებიდან, მათ შორის ინტერნეტის გამოყენებით;
- სიტუაციაში ადაპტირებისა და დამოუკიდებელი მუშაობის უნარი.
- განსხვავებული აზრის მოსმენისა და პატივისცემის უნარი;
- საკუთარი პოზიციის ეთიკის ნორმების დაცვით ჩამოყალიბების უნარი;

- კულტურული განსხვავებულობის აღქმისა და სხვა კულტურათა პატივისცემის უნარი;
- დემოკრატიული ღირებულებების პატივისცემის უნარი;
- პრობლემის გადაჭრის \ გადაწყვეტილების მიღების უნარი;
- საკუთარი დამოკიდებულების გამოხატვის უნარი;
- ქართული ენობრივ-კულტურული თვითმყოფადობისა და ღირებულებების გაცნობის, დაფასებისა და პატივისცემის უნარი.
- ტოლერანტობისა და მრავალფეროვნების აღქმისა და მრავალფეროვან გარემოში ადაპტირების უნარი.
- სამოქალაქო ცნობიერების ჩამოყალიბების უნარი.

სწავლის შედეგების რუკა

სასწავლო კურსები	კო მ პ ე ტ ე ნ ც ი ე ბ ი ს ჩ ა მ ო ნ ა თ ვ ა ლ ი		
	ცოდნა და გაცნობიერება	უნარი	პასუხისმგებლობა და ავტონომიურობა
ქართული ენის სამეტყველო უნარები (წერა) -1.1	X	X	X
ქართული ენის სამეტყველო უნარები (წერა) -1.2	X	X	X

ქართული ენის სამეტყველო უნარები (კითხვა) -1.1	X	X	
ქართული ენის სამეტყველო უნარები (კითხვა) -1.2	X	X	
ქართული ენის სამეტყველო უნარები (მოსმენა) -1.1	X	X	
ქართული ენის სამეტყველო უნარები (მოსმენა) -1.2	X	X	
ქართული ენის სამეტყველო უნარები (ლაპარაკი) -1.1	X	X	X
ქართული ენის სამეტყველო უნარები (ლაპარაკი) -1.2	X	X	X
ენი კომუნიკაციური ასპექტები - 1.1	X	X	X
ენი კომუნიკაციური ასპექტები - 1.2	X	X	X
ქართული ენის პრაქტიკული გრამატიკა 1.1	X	X	X
ქართული ენის პრაქტიკული გრამატიკა 1.2	X	X	X
ფუნქციური წერა	X	X	X

ქართული ენის პრაქტიკული გრამატიკა - 2	X	X	X
ტოლერანტობა და მრავალფეროვნება	X	X	X
ზეპირი კომუნიკაციის სტრატეგიები	X	X	X
ორთოეპია და მართლწერა	X	X	X
ენისა და საგნის ინტეგრირებული სწავლება (ფილოლოგია)	X	X	X
ენისა და საგნის ინტეგრირებული სწავლება (ისტორია)	X	X	X
ენისა და საგნის ინტეგრირებული სწავლება (მათემატიკა)	X	X	X
ენისა და საგნის ინტეგრირებული სწავლება (სამართალი)	X	X	X
ენისა და საგნის ინტეგრირებული სწავლება (ბიზნესი, ეკონომიკა)	X	X	X
ენისა და საგნის ინტეგრირებული სწავლება (ბიოლოგია)	X	X	X

სწავლის შედეგების მიღწევის მეთოდები/ფორმები:

დასახული მიზნების მიღწევისათვის გათვალისწინებულია ყველა ის აპრობირებული მეთოდი, ფორმებისა და მიდგომის გამოყენება, რაც იძლევა ეფექტურ შედეგს ენობრივი კომპეტენციის ამალღების თვალსაზრისით: ლექცია, სემინარი(პარაქტიკული სამუშაო), ზეპირი პრეზენტაციები, საშინაო დავალება/ პრეზენტაცია რეფერატით და სხვა.

დისკუსია-დებატები - ინტერაქტიური სწავლების ერთ-ერთი ყველაზე გავრცელებული მეთოდია. დისკუსიის პროცესი მკვეთრად ამალღებს სტუდენტთა ჩართულობას, ხარისხსა და აქტივობას. დისკუსია შესამღებელია გადაიზარდოს კამათში. ეს პროცესი არ შემოიფარგლება მხოლოდ პროფესორის მიერ დასმული შეკითხვებით. დასახელებული მეთოდი სტუდენტს უვითარებს კამათისა და საკუთარი აზრის დასაბუთების უნარს.

ჯგუფური მუშაობა - ამ მეთოდით სწავლება გულისხმობს სტუდენტთა ჯგუფებად დაყოფას და მათთვის სასწავლო დავალებების მიცემას. ჯგუფის წევრები ინდივიდუალურად ამუშავებენ საკითხსა და პარალელურად უზიარებენ მას ჯგუფის დანარჩენ წევრებს. დასახული ამოცანიდან გამომდინარე, ჯგუფის მუშაობის პროცესში შესამღებელია წევრებს შორის მოხდეს ფუნქციების გადანაწილება. ეს სტრატეგია უზრუნველყოფს ყველა სტუდენტის მაქსიმალურ ჩართულობას სასწავლო პროცესში.

ევრისტიკული მეთოდი- ეფუძნება სტუდენტების წინაშე დასმული ამოცანის ეტაპობრივ გადაწყვეტას. ეს ამოცანა ხორციელდება სწავლების პროცესში ფაქტების დამოუკიდებლად დაფიქსირებისა და მათ შორის კავშირების დანახვის გზით.

გონებრივი იერიში - ეს მეთოდი გულისხმობს რადიკალურად განსხვავებული აზრის, იდეის ჩამოყალიბებასა და გამოთქმის ხელშეწყობას კონკრეტული თემის ფარგლებში კონკრეტული საკითხის / პრობლემის ირგვლივ. აღნიშნული მეთოდი ხელს უწყობს პრობლემისადმი შემოქმედებითი მიდგომის განვითარებას.

დემონსტრირების მეთოდი - ეს მეთოდი ინფორმაციის ვიზუალურად წარმოდგენას გულისხმობს. შედეგის მიღწევის თვალსაზრისით ის საკმაოდ ეფექტურია, ხშირ შემხვევაში უმჯობესია, მასალა ერთდროულად აუდიო და ვიზუალური გზით მივაწოდოთ სტუდენტებს. შესასწავლილი მასალის დემონსტრირება შესამღებელია განხორციელდეს როგორც მასწავლებლის, ისე სტუდენტის მიერ. ეს მეთოდი გვეხმარება თვალსაჩინო გავხადოთ სასწავლო მასალის აღქმის სხვადასხვა საფეხური,

დავაკონკრეტოთ, თუ რისი შესრულება მოუწევთ სტუდენტებს დამოუკიდებლად: ამავე დროს, ეს სტრატეგია ვიზუალურად წარმოაჩინოს საკითხს/ პრობლემის არსს.

ინდუქცია, დედუქცია, ანალიზი და სინთეზი - სწავლების ინდუქციური მეთოდი განსაზღვრავს ნებისმიერი ცოდნის ისეთ ფორმას, როდესაც სწავლის პროცესში აზრის მსვლელობა კერძოდ კონკრეტულისაკენ, ფაქტებიდან განზოგადებისაკენ არის მიმართული, ანუ მასალის გადმოცემისას პროცესი მიმდინარეობს კონკრეტულიდან ზოგადისაკენ.

სწავლების დედუქციური მეთოდი განსაზღვრავს ნებისმიერი საგნობრივი ცოდნის გადაცემის ისეთ ფორმას, რომელიც ზოგად ცოდნაზე დაყრდნობით ახალი ცოდნის აღმოჩენის ლოგიკურ პროცესს წარმოადგენს, ანუ პროცესი მიმდინარეობს ზოგადიდან კონკრეტულისაკენ.

სასწავლო პროცესში ანალიზის მეთოდი გვეხმარება სასწავლო მასალის, როგორც ერთი მთლიანის, შემადგენელ ნაწილებად დაშლაში, ამით მარტივდება რთული პრობლემის შიგნით არსებული ცალკეული საკითხების დეტალური გაშუქება.

სინთეზის მეთოდი გულისხმობს შებრუნებულ პროცედურას, ანუ ცალკეული საკითხების დაჯგუფებით ერთი მთლიანის შედგენას. ეს მეთოდი ხელს უწყობს პრობლემის, როგორც მთელის დანახვის უნარის განვითარებას.

ახსნა-განმარტებითი მეთოდი - ეფუძნება მსჯელობას მოცემული საკითხის ირგვლივ. პროფესორს მასალის გადმოცემისას მოჰყავს კონკრეტული მაგალითი, რომლის დაწვრილებით განხილვაც მოცემული თემის ფარგლებში.

პრობლემაზე დაფუძნებული სწავლება (PBL) - სასწავლო მეთოდი, რომელიც ახალი ცოდნის მიღების და ინტეგრაციის პროცესის საწყის ეტაპად იყენებს პრობლემას. სტუდენტი ამ პრობლემის ადექვატურად გადასაწყვეტად მუშაობს წყაროებზე, სამეცნიერო ლიტერატურაზე, თანამედროვე საინფორმაციო ტექნოლოგიების მეშვეობით მოიძიებს უახლეს სამეცნიერო მიღწევებს შესაბამის სფეროში, სტატიებს, კონფერენციის მასალებს და ყველა იმ მასალას, რომელიც დასმულ პრობლემას უკავშირდება. მოპოვებული მასალებისა და მონაცემების, აგრეთვე საკუთარი მოსაზრებების შეჯერება ხშირად ამ სფეროში ახალი ცოდნის შექმნის საფუძველს ქმნის.

თანამშრომლობითი (cooperative) სწავლება - იმგვარი სწავლების სტრატეგიაა, სადაც ჯგუფის თითოეული წევრი ვალდებულია არა მხოლოდ შეისწავლოს, არამედ დაეხმაროს თავის თანაგუნდელს საგნის უკეთ შესწავლაში. თითოეული ჯგუფის წევრი მუშაობს პრობლემაზე, ვიდრე ყველა მათგანი არ დაეუფლება საკითხს.

ელექტრონული რესურსით სწავლება – ეს მეთოდი ითვალისწინებს სწავლა-სწავლების პროცესში ელექტრონული რესურსების გამოყენებას.

პროგრამით განსაზღვრული მეთოდები და აქტივობები/ფორმები ითვალისწინებს თეორიული და პრაქტიკული სწავლების ინტეგრაციას, ორიენტირებულია სტუდენტზე და უზრუნველყოფს პროგრამით განსაზღვრული სწავლის შედეგების მიღწევას. თითოეული სასწავლო კურსის შესწავლის აქტივობას/ფორმას და მეთოდებს ირჩევს ლექტორი, ასახავს კონკრეტული საგნის სილაბუსში და პასუხისმგებელია სწავლის შედეგებზე.

სწავლის გაგრძელების საშუალება:

აღნიშნული პროგრამის წარმატებით დასრულების შემდეგ კურსდამთავრებულები შეძლებენ სრულფასოვნად ჩაერთონ უმაღლესი განათლების I საფეხურის პროგრამებში, სახელმწიფო ენაზე მათ მიერ არჩეული უნივერსიტეტის მათთვის სასურველ ფაკულტეტზე.

დასაქმების სფეროები:

წინამდებარე პროგრამა ითვალისწინებს სწავლების მომდევნო საფეხურისთვის (საბაკალავრო პროგრამისთვის) სტუდენტის მომზადებას.

მატერიალურ-ტექნიკური ბაზა:

პროგრამის განსახორციელებლად სტუდენტს ემსახურება უნივერსიტეტის ბეჭდური და ელექტრონული ბიბლიოთეკა (უზრუნველყოფილია საერთაშორისო ელექტრონულ-საბიბლიოთეკო ქსელში ჩართულობა), სსიპ იაკობ გოგებაშვილის სახელობის თელავის სახელმწიფო უნივერსიტეტის ქართული ფილოლოგიის დეპარტამენტი, უნივერსიტეტის კომპიუტერული ცენტრები, რომლებიც შეუზღუდავ ინტერნეტშია ჩართული, თელავის სახელმწიფო უნივერსიტეტთან არსებული ბიბლიოთეკა. თელავის სახელმწიფო უნივერსიტეტის სტრუქტურული ერთეულების ფუნქციები უზრუნველყოფს საგანმანათლებლო პროგრამის მისიით განსაზღვრული საქმიანობის განხორციელებას.

უნივერსიტეტში არის საგანმანათლებლო პროცესის წარმართვისთვის აუცილებელი გარემო:

- ✓ ელექტრო ენერჯის მიწოდების უწყვეტი სისტემა;
- ✓ სასმელი წყლით უზრუნველყოფის 24 საათიანი მომსახურების რეჟიმი;
- ✓ საინტერნეტო სივრცე;
- ✓ გათბობის საშუალებები;
- ✓ სველი წერტილები.

სტუდენტებისა და თანამშრომლებისათვის უნივერსიტეტში გათვალისწინებულია ჯანმრთელობისა და უსაფრთხოების სტანდარტები. ამ მიზნით არსებობს:

- ✓ ხანძარსაწინააღმდეგო უზრუნველყოფის მექანიზმები და ხანძარსაწინააღმდეგო ინვენტარი;
- ✓ ევაკუაციის გეგმა;
- ✓ სამედიცინო დახმარების აღმოჩენის მექანიზმი და წესრიგის დაცვის უზრუნველყოფის მექანიზმები;

სტუდენტებისა და თანამშრომლებისათვის უნივერსიტეტში გათვალისწინებულია ჯანმრთელობისა და უსაფრთხოების სტანდარტები.

სტუდენტის ცოდნის შეფასების სისტემა:

სტუდენტთა ცოდნის შეფასების სისტემა:

პროგრამაში გამოყენებული შეფასების სისტემა პროგრამით გათვალისწინებული შედეგების მიღწევის რელევანტური, ობიექტური და გამჭვირვალეა.

სტუდენტის სწავლის შედეგის მიღწევის დონის შეფასების სისტემა რეგულირდება „საგანმანათლებლო პროგრამების კრედიტებით გაანგარიშების წესისა და სტუდენტთა ცოდნის შეფასების სისტემის შესახებ“ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის შესაბამისი ბრძანებისა (#3, 2007 წ) და (სსიპ) იაკობ გოგებაშვილი სახელობის თელავის სახელმწიფო უნივერსიტეტის შესაბამისი რეგულაციით, რომლის თანახმადაც სტუდენტის ცოდნა ფასდება 100 ქულიანი სისტემით. შეფასება ხორციელდება 2 აუცილებელი ფორმით, შუალედური შეფასებისა და დასკვნითი გამოცდის, (არაუმეტეს 40 ქულისა) საფუძველზე. თავის მხრივ, შუალედური შეფასება შედგება ცალკეული კომპონენტებისაგან: შუალედური წერთი გამოცდა და ზეპირი/წერთი გამოკითხვა. სწავლის შედეგების მიღწევის შესაფასებლად გამოყენებულია სხვადასხვა მეთოდები (საშუალებები): დემონსტრირება, პრეზენტაცია. ტესტი, დისკუსია, აუდიოვიზუალური ნაწარმოების წარდგენა, პრაქტიკული/თეორიული დავალებების შესრულება, სამუშაო ჯგუფში მუშაობა, დისკუსიაში მონაწილეობა და სხვა. დანარჩენი კომპონენტების, მეთოდების და შესაბამისი ქულების შესახებ სასწავლო კურსის სპეციფიკის გათვალისწინებით დაწვრილებითი ინფორმაცია მითითებულია თითოეული სასწავლო კურსის სილაბუსში.

დადებით შეფასებად მიღებულია 51-100 ქულა.

კრედიტის მისაღებად სტუდენტი ვალდებულია მიიღოს გარკვეული ქულები როგორც შუალედური შეფასებაში, ისე დასკვნით გამოცდაზე. კონკრეტული სასწავლო კურსის სილაბუსებში საგნის სპეციფიკიდან გამომდინარე განსაზღვრულია როგორც შუალედური, ისე დასკვნითი გამოცდის ქულათა მინიმალური ზღვარი, რომლის გადალახვის გარეშე სტუდენტი ვერ იღებს კრედიტს.

დასკვნით გამოცდაზე გასვლის უფლება ეძლევა სტუდენტს, თუ მას გადალახული აქვს შუალედური შეფასების მინიმალური კომპეტენციის ზღვარი (შესაბამისად შეფასების ფორმის არაუმეტეს 60 % ისა). გამოცდა ჩაითვლება ჩაბარებულად, თუ სტუდენტი გადალახავს დადგენილი გამოცდის მინიმალურ კომპეტენციის ზღვარს.(შესაბამისად შეფასების ფორმის არაუმეტეს 60 % ისა). სტუდენტის ცოდნის შეფასება გამოითვლება შუალედური შეფასებისა და დასკვნითი გამოცდის შეფასების ქულათა ჯამით. დადებით შეფასებად მიღებულია 51-100 ქულა.

დაუშვებელია სტუდენტის მიერ მიღწეული სწავლის შედეგების ერთჯერადად, მხოლოდ დასკვნითი გამოცდის საფუძველზე შეფასება.

ყოველი სასწავლო კურსის დასრულების შემდეგ, დადებითი შეფასების შემთხვევაში სტუდენტს ენიჭება კრედიტი.

საგამოცდო პროცესს წარმართავს თესაუს ერთიანი საგამოცდო ცენტრი.

კრედიტის მინიჭება სასწავლო კურსში ხდება სილაბუსში მითითებული მოთხოვნილი კომპეტენციების დაუფლების შემდგომ.

შეფასების სისტემა უშვებს:

ა) ხუთი სახის დადებით შეფასებას:

ა.ა) (A) ფრიადი – შეფასების 91-100 ქულა;

ა.ბ) (B) ძალიან კარგი – მაქსიმალური შეფასების 81-90 ქულა;

ა.გ) (C) კარგი – მაქსიმალური შეფასების 71-80 ქულა;

ა.დ) (D) დამაკმაყოფილებელი – მაქსიმალური შეფასების 61-70 ქულა;

ა.ე) (E) საკმარისი – მაქსიმალური შეფასების 51-60 ქულა.

ბ) ორი სახის უარყოფით შეფასებას:

ბ.ა) (FX) ვერ ჩააბარა – მაქსიმალური შეფასების 41-50 ქულა, რაც ნიშნავს, რომ სტუდენტს ჩასაბარებლად მეტი მუშაობა სჭირდება და ეძლევა დამოუკიდებელი მუშაობით დამატებით გამოცდაზე ერთხელ გასვლის უფლება;

ბ.ბ) (F) ჩაიჭრა – მაქსიმალური შეფასების 40 ქულა და ნაკლები, რაც ნიშნავს, რომ სტუდენტის მიერ ჩატარებული სამუშაო არ არის საკმარისი და მას საგანი ახლიდან აქვს შესასწავლი.

დასკვნით გამოცდაზე გასვლა სავალდებულოა.

დასკვნითი და შუალედური შეფასებების კომპეტენციის მინიმალურ გადასალახ ზღვარს განსაზღვრავს სასწავლო კურსის ლექტორი(რომელიც არ აღემატება შუალედური და დასკვნითი შეფასებების 60 %-ს) .

**ინფორმაცია საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელებისათვის აუცილებელი
ადამიანური რესურსის შესახებ**

სასწავლო კურსების დასახელება	ლექტორის გვარი, სახელი	კვალიფიკაცია	დაკავებული თანამდებობა
ქართული ენის სამეტყველო უნარები (წერა)- 1.1/1.2	ელენე ფილაშვილი	ფილოლოგიის დოქტორი	ასოცირებული-პროფესორი ქართული ენის მიმართულებით
ქართული ენის სამეტყველო უნარები (კითხვა) -1.1/1.2	ნინო კოჭლოშვილი შორენა წიგნაძე	ფილოლოგიის დოქტორი ფილოლოგიის დოქტორი	პროფესორი ქართული ლიტერატურის მიმართულებით ასისტენტ- პროფესორი

			ქართული ენის მიმართულებით
ქართული ენის სამეტყველო უნარები (მოსმენა)- 1.1/1.2	შორენა წიგნაძე	ფილოლოგიის დოქტორი	ასისტენტ- პროფესორი ქართული ენის მიმართულებით
ქართული ენის სამეტყველო უნარები (ლაპარაკი) -1.1/1.2	ნინო კოჭლოშვილი მზია გიგაშვილი	ფილოლოგიის დოქტორი	პროფესორი ქართული ლიტერატურის მიმართულებით ასისტ. პროფესორი ქართული ენის მიმართულებით
ენის კომუნიკაციური ასპექტები - 1.1/1.2	მზია გიგაშვილი	ფილოლოგიის დოქტორი	ასისტენტ-პროფესორი ქართული ენის მიმართულებით
ქართული ენის პრაქტიკული გრამატიკა - 1.1/1.2	მზია გიგაშვილი	ფილოლოგიის დოქტორი	პროფესორი ქართული ენის მიმართულებით ასისტენტ-პროფესორი ქართული ენის მიმართულებით
ფუნქციური წერა	ელენე ფილაშვილი	ფილოლოგიის დოქტორი	ასოცირებული-პროფესორი

			ქართული ენის მიმართულებით
ტოლერანტობა და მრავალფეროვნება	ელენე ფილაშვილი	ფილოლოგიის დოქტორი	ასოცირებული-პროფესორი ქართული ენის მიმართულებით
ზეპირი კომუნიკაციის სტრატეგიები	ნინო გიორგაძე	ფილოლოგიის დოქტორი	ასოც. პროფესორი ქართული ლიტერატურის მიმართულებით
ქართული ენის პრაქტიკული გრამატიკა 2	მზია გიგაშვილი	ფილოლოგიის დოქტორი	ასისტ. პროფესორი ქართული ენის მიმართულებით
ორთოეპია და მართლწერა	შორენა წიგნაძე	ფილოლოგიის დოქტორი	ასისტ. პროფესორი ქართული ენის მიმართულებით
ენისა და საგნის ინტეგრირებული სწავლება (ფილოლოგია)	ელენე ფილაშვილი	ფილოლოგიის დოქტორი	ასოცირებული-პროფესორი ქართული ენის მიმართულებით
ენისა და საგნის ინტეგრირებული სწავლება (ისტორია)	ნუნუ გელდიაშვილი	ფილოლოგიის დოქტორი	პროფესორი ქართული ენის მიმართულებით
ენისა და საგნის ინტეგრირებული სწავლება (მათემატიკა)	შორენა წიგნაძე	ფილოლოგიის დოქტორი	ასისტენტ პროფესორი ქართული ენის მიმართულებით
ენისა და საგნის ინტეგრირებული	ნუნუ გელდიაშვილი	ფილოლოგიის დოქტორი	პროფესორი ქართული ენის

სწავლება (სამართალი)			მიმართულებით
ენისა და საგნის ინტეგრირებული სწავლება (ბიზნესი, ეკონომიკა)	ნუნუ გელდიაშვილი	ფილოლოგიის დოქტორი	პროფესორი ქართული ენის მიმართულებით
ენისა და საგნის ინტეგრირებული სწავლება (ბიოლოგია)	მზია გიგაშვილი	ფილოლოგიის დოქტორი	ასოცირებული-პროფესორი ქართული ენის მიმართულებით

სილაბუსები: (იხ. ცალკე)

სასწავლო გეგმა

კომპონენტები	კრედიტების რაოდენობა	საათების რაოდენობა სემესტრში			საკონტაქტო საათების რაოდენობა კვირაში	საკონტაქტო საათების განაწილება					კრედიტების განაწილება სემესტრებში
		სულ	საკონტაქტო	დამოუკიდებელი		ლექცია	პრაქტიკული	სემინარი	პრეზენტაცია	შუალედ. გამოცდები	

1	ქართული ენის სამეტყველო უნარები (წერა) -1.1	5	125	58	67	4	13	26	13	2	2	2	2	+	
2	ქართული ენის სამეტყველო უნარები (წერა) -1.2	5	125	45	80	3	13	13	13	2	2	2	2	+	
3	ქართული ენის სამეტყველო უნარები (კითხვა) -1.1	5	125	58	67	4	13	26	13	2	2	2	2	+	
4	ქართული ენის სამეტყველო უნარები (კითხვა) -1.2	5	125	45	80	3	13	13	13	2	2	2	2	+	
5	ქართული ენის სამეტყველო უნარები (მოსმენა) -1.1	5	125	58	67	4	13	26	13	2	2	2	2	+	
6	ქართული ენის სამეტყველო უნარები (მოსმენა) -1.2	5	125	45	80	3	13	13	13	2	2	2	2	+	
7	ქართული ენის სამეტყველო უნარები (ლაპარაკი) -1.1	5	125	58	67	4	13	26	13	2	2	2	2	+	
8	ქართული ენის სამეტყველო	5					13	13		2	2			+	

	უნარები (ლაპარაკი) -1.2		125	45	80	3			13			2	2			
9	ქართული ენის პრაქტიკული გრამატიკა -1.1	5	125	58	67	4	13	26	13		2	2	2	2	+	
10	ქართული ენის პრაქტიკული გრამატიკა -1.2	5	125	45	80	3	13	13	13		2	2	2	2	+	
11	ზეპირი კომუნიკაციის სტრატეგიები	5	125	45	80	3	13	13	13		2	2	2	2		+
12	ტოლერანტობა და მრავალფეროვნება	5 5	125	45	80	3	13	13	13		2	2	2	2		+
13	ფუნქციური წერა	5	125	45	80	3	13	13	13		2	2	2	2		+
14	ორთოეპია და მართლწერა	5	125	45	80	3	13	13	13		2	2	2	2		+
15	ქართული ენის პრაქტიკული გრამატიკა 2	5	125	45	80	3	13	13	13		2	2	2	2		+
16	ენის კომუნიკაციური ასპექტები -1.1	5	125	45	80	3	13	13	13		2	2	2	2	+	

17	ენის კომუნიკაციური ასპექტები -1.2	5	125	45	80	3	13	13	13	2	2	2	2	+	
18	ენისა და საგნის ინტეგრირებული სწავლება (ფილოლოგია)	5	125	58	67	4	13	26	13	2	2	2	2		+
19	ენისა და საგნის ინტეგრირებული სწავლება (ისტორია)	5	125	58	67	4	13	26	13	2	2	2	2		+
20	ენისა და საგნის ინტეგრირებული სწავლება (მათემატიკა)	5	125	58	67	4	13	26	13	2	2	2	2		+
21	ენისა და საგნის ინტეგრირებული სწავლება (სამართალი)	5	125	58	67	4	13	26	13	2	2	2	2		+
22	ენისა და საგნის ინტეგრირებული სწავლება (ბიზნესი, ეკონომიკა)	5	125	58	67	4	13	26	13	2	2	2	2		+
23	ენისა და საგნის	5	125	58	67	4	13	26	13						+

	ინტეგრირებული სწავლება (ბიოლოგია)									2	2		2	2		
--	--------------------------------------	--	--	--	--	--	--	--	--	---	---	--	---	---	--	--

დანართი №2

ქართულ ენაში მომზადების საგანმანათლებლო პროგრამა

№	მოდული/სასწავლო კურსი	სტატუსი	წინაპირობა (კოდი)	კრედიტი	საათების განაწილება											სულ საათები	
					I ს.წ.		საკონტაქტო							დამოუკიდებელ			
					I სემესტრი	II სემესტრი	ლექცია	პრაქტიკული სამსახური	ლაბორატორ იული	სემინარი	პრეზენტაცია	შუალედური გამოცდა	ფინალური გამოცდა		სულ		

1	ქართული ენის სამეტყველო უნარები (წერა) -1.1	სავალდებულო	არ გააჩნია	5	x		13	26		13	2	2	2	58	67	125
2	ქართული ენის სამეტყველო უნარები (წერა) -1.2	სავალდებულო	არ გააჩნია	5	x		13	13		13	2	2	2	45	80	125
3	ქართული ენის სამეტყველო უნარები (კითხვა) -1.1	სავალდებულო	არ გააჩნია	5	x		13	26		13	2	2	2	58	67	125
4	ქართული ენის სამეტყველო უნარები (კითხვა) -1.2	სავალდებულო	არ გააჩნია	5	x		13	13		13	2	2	2	45	80	125
5	ქართული ენის სამეტყველო უნარები (მოსმენა) -1.1	სავალდებულო	არ გააჩნია	5	x		13	26		13	2	2	2	58	67	125
6	ქართული ენის სამეტყველო უნარები (მოსმენა) -1.2	სავალდებულო	არ გააჩნია	5	x		13	13		13	2	2	2	45	80	125

7	ქართული ენის სამეტყველო უნარები (ლაპარაკი) -1.1	სავალ დებულ ო	არ გააჩნია	5	x		13	26		13	2	2	2	58	67	125
8	ქართული ენის სამეტყველო უნარები (ლაპარაკი) -1.2	სავალ დებულ ო	არ გააჩნია	5	x		13	13		13	2	2	2	45	80	125
9	ქართული ენის პრაქტიკული გრამატიკა -1.1	სავალ დებულ ო	არ გააჩნია	5	x		13	26		13	2	2	2	58	67	125
10	ქართული ენის პრაქტიკული გრამატიკა -1.2	სავალ დებულ ო	არ გააჩნია	5	x		13	13		13	2	2	2	45	80	125
11	ზეპირი კომუნიკაციის სტრატეგიები	სავალ დებულ ო	არ გააჩნია	5		x	13	13		13	2	2	2	45	80	125
12	ტოლერანტობა და მრავალფეროვნება	სავალ დებულ ო	არ გააჩნია	5		x	13	13		13	2	2	2	45	80	125
13	ფუნქციური წერა	სავალ დებულ	არ გააჩნია	5		x	13	13		13	2	2	2	45	80	125

		ო														
14	ორთოქვია და მართლწერა	სავალ დებულ ო	არ გააჩნია	5		x	13	13		13	2	2	2	45	80	125
15	ქართლი ენის პრაქტიკული გრამატიკა -2	სავალ დებულ ო	HUS0GSL PGGL- 1..1/1.2	5		x	13	13		13	2	2	2	45	80	125
16	ენის კომუნიკაციური ასპექტები - 1.1	სავალ დებულ ო	არ გააჩნია	5	x		26	13		13	2	2	2	58	67	125
17	ენის კომუნიკაციური ასპექტები - 1.2	სავალ დებულ ო	არ გააჩნია	5	x		13	13		13	2	2	2	45	80	125
	არჩევითი	არჩევი თი		5												
1	ენისა და საგნის ინტეგრირებული სწავლება (ფილოლოგია)		HUS0GSL R-1.1/1.2	5		x	13	26		13	2	2	2	58	67	125
2	ენისა და საგნის ინტეგრირებული		HUS0GSL	5		x	13	26		13	2	2	2	58	67	125

	სწავლება (ისტორია)		R-1.1/1.2													
3	ენისა და საგნის ინტეგრირებული სწავლება (მათემატიკა)		HUS0GSL R-1.1/1.2	5		x	13	26		13	2	2	2	58	67	125
4	ენისა და საგნის ინტეგრირებული სწავლება (სამართალი)		HUS0GSL R-1.1/1.2	5		x	13	26		13	2	2	2	58	67	125
5	ენისა და საგნის ინტეგრირებული სწავლება (ბიზნესი, ეკონომიკა)		HUS0GSL R-1.1/1.2	5		x	13	26		13	2	2	2	58	67	125
6	ენისა და საგნის ინტეგრირებული სწავლება (ბიოლოგია)		HUS0GSL R-1.1/1.2	5		x	13	26		13	2	2	2	58	67	125
სულ:				60												1500

დანართი №3

ქართულ ენაში მომზადების საგანმანათლებლო პროგრამა: სასწავლო გეგმის დამატებითი ცხრილი

№	მოდული/ სასწავლო კურსი	კოდი	სემესტრი	კრედიტი	სტატუსი	პრერეკვიზიტი	პირითადი ლიტერატურა (ლიტერატურა ხელმისაწვდომია უნივერსიტეტის ბიბლიოთეკაში)
1	ქართული ენის სამეტყველო	HUS0GS LW -1.1	I	5	სავალდებუ ლო	არ გააჩნია	გ. შაბაშვილი, წერა, რიდერი ქართული ენის

	უნარები (წერა) -1.1						სამეტყველო უნარ- ჩვევები (კითხვა, წერა - Reader), შემდგენლები: კ. გაბუნია, ნ. გორგაძე, ე.ჯაჯანიძე და სხვა; 2013
2	ქართული ენის სამეტყველო უნარები (წერა) -1.2	HUS0GS LW -1.1	I	5	სავალდებუ ლო	არ გააჩნია	გ. შაბაშვილი, წერა, რიდერი

3	ქართული ენის სამეტყველო უნარები (ლაპარაკი) - 1.1	HUS0GS LS -1.1	I	5	სავალდებულო	არ გააჩნია	ქართული ენის სამეტყველო უნარ-ჩვევები (ლაპარაკი, მოსმენა - Reader), შემდგენლები: კ. გაბუნია, ნ. გორგაძე, ე.ჯაჯანიძე და სხვა.
4	ქართული ენის სამეტყველო უნარები (ლაპარაკი) - 1.2	HUS0GS LS -1.2	I	5	სავალდებულო	არ გააჩნია	ქართული ენის სამეტყველო ფუნქციები (ლაპარაკი; მოსმენა) (READER) - კახა გაბუნიას რედაქციით, 2013 წ. თბილისი.

5	ქართული ენის სამეტყველო უნარები (კითხვა) -1.1	HUSOG SLR-1.1	I	5	სავალდებუ ლო	არ გააჩნია	ქართული ენის სამეტყველო ფუნქციები (კითხვა; წერა) საკითხავი (READER) - კახა გაბუნias რედაქციით, 2013 წ. თბილისი.
6	ქართული ენის სამეტყველო უნარები (კითხვა) -1.2	HUSOG SLR -1.2	I	5	სავალდებუ ლო	არ გააჩნია	ქართული ენის სამეტყველო ფუნქციები (კითხვა; წერა) საკითხავი (READER) - კახა გაბუნias რედაქციით, 2013 წ. თბილისი.

7	ქართული ენის სამეტყველო უნარები (მოსმენა) -1.1	HUS0GS LL -1.1	I	5	სავალდებუ ლო	არ გააჩნია	<ol style="list-style-type: none"> 1. : ``საიმედო`` თბ., 2006; აუდიოკასეტები ``საიმედოს`` I-III ნაწილისათვის 2002-2007. 2. ნ. შავთვალაძე; CD ბუკლეტით - ``მოუსმინეთ ქართულ დიალოგებს I`` , ``დობერა`` თბ., 2006. 3. ნ. შავთვალაძე CD ბუკლეტით ``მოუს მინეთ ქართულ დიალოგებს II`` , ``დობერა`` თბ., 2007. 4. ნ. შავთვალაძისა და კ. გაბუნიას მიერ შედეგენილი საკითხავები.
---	--	-------------------	---	---	-----------------	------------	---

8	ქართული ენის სამეტყველო უნარები (მოსმენა) -1.2	HUS0GS LL -1.2	I	5	სავალდებუ ლო	არ გააჩნია	<p>1. :`საიმედო`თბ., 2006; აუდიოკასეტები `საიმედოს` I-III ნაწილისათვის 2002-2007.</p> <p>2. ნ. შავთვალაძე; CD ბუკლეტით - `მოუსმინეთ ქართულ დიალოგებს I`, `დობერა`თბ., 2006.</p> <p>3. ნ. შავთვალაძე CD ბუკლეტით`მოუს მინეთ ქართულ</p>

							<p>დიალოგებს II` , `დობერა` `თბ., 2007.</p> <p>4. ნ. შავთვალამისა და კ. გაბუნისა მიერ შედეგენილი საკითხავები.</p>
9	ქართული ენის პრაქტიკული გრამატიკა - 1.1	HUSOG SLPGGL - 1.1	I	5	სავალდებუ ლო	არ გააჩნია	<p>1. კახა გაბუნია, ქართული ენის გრამატიკის ზოგადი კურსი, თბ, 2016</p> <p>2. მზია ხვედელიძე, როზა გაბეჩავა სახელმძღვანელო აზერბაიჯანელთათ ვის „ჩვენ ვსწავლობთ ქართულს“, გაგამცემლობა „საქართველოს მაცნე“ თბ, 2011 წ.</p>

10	ქართული ენის პრაქტიკული გრამატიკა - 1.2	HUSOG SLPGGL - 1.2	I	5	სავალდებუ ლო	არ გააჩნია	კახა გაბუნია, ქართული ენის გრამატიკის ზოგადი კურსი, თბ, 2016

11	ენის კომუნიკაციუ რი ასპექტები 1.1	HUSOG SLLCA- 1.1	I	5	სავალდებუ ლო	არ გააჩნია	1.ნ. შარაშენიძე, მიდამო, სიტუაციები და გრამატიკა კომუნიკაციისათვის, გამომცემლობა „საიმედო“, თბილისი, 2010 2. ნინო შარაშენიძე, ენის კომუნიკაციური ასპექტები I, რიდერი
12	ენის კომუნიკაციუ რი ასპექტები -1.2	HUSOG SLLCA- 1.2	I	5	სავალდებუ ლო	ენის კომუნიკაციური ასპექტები I	1. ნ. შარაშენიძე, მიდამო, სიტუაციები და გრამატიკა კომუნიკაციისათვი ს, გამომცემლობა „საიმედო“,

							თბილისი, 2010. 2. ნინო შარაშენიძე, ენის კომუნიკაციური ასპექტები I, რიდერი
13	ზეპირი კომუნიკაციის სტრატეგიები	HUS0GS VCS	II	5	სავალდებულო	არ გააჩნია	ნ. შავთვალაძისა და კ. გაბუნიას მიერ მომზადებული რიდერი (ზეპირი კომუნიკაციის სტრატეგიები)
14	ტოლერანტობა და მრავალფეროვნება	HOS0GS LTD	II	5	სავალდებულო	არ გააჩნია	1. „ტოლერანტობა და მრავალფეროვნება“ - სახელმძღვანელო ენისა და საგნის ინტეგრირებული სწავლებისათვის; თბილისი, 2017. 2. „ტოლერანტობა და

							მრავალფეროვნება“ - სახელმძღვანელო ენისა და საგნის ინტეგრირებული სწავლებისათვის; თბილისი, 2019
15	ფუნქციური წერა	HUS0GL FW	II	5	სავალდებუ ლო	არ გააჩნია	1.ქ. გოჩიტაშვილი, გ. შაბაშვილი, ფუნქციური წერა (მაგალითებითა და სავარჯიშოებით), თბ, 2011 წ. 2. ქ. გოჩიტაშვილი, გ. შაბაშვილი, ფუნქციური წერა, რიდერი
16	ორთოეპია და მართლწერა	HUS0GL OO	II	5	სავალდებუ ლო	არ გააჩნია	1. ქეტევან გოჩიტაშვილი, ქართული ენის მართლწერისა და პუნქტუაციის საკითხები (სახელმძღვანელო არაქართულენოვან ი სტუდენტებისათვის

						ს)	
17	ქართული ენის პრაქტიკული გრამატიკა 2	HUS0GS LPGGL- 2	II	5	სავალდებუ ლო	ქართული ენის პრაქტიკული გრამატიკა -1.1/1.2	<ol style="list-style-type: none"> 1. კახა გაბუნია, ქართული ენის გრამატიკის ზოგადი კურსი. თბ. 2016 2. ლ. კვაჭაძე, თანამედროვე ქართული ენის სინტაქსი, გამომც. „რუბიკონი“, თბ. 1996 წ. 3. ანტ. კიზირია, ქართული ენა (პრაქტიკუმი), გამომც. „განათლება“, თბ. 1984 წ. 4. ო. მიქიაშვილი, ქართული ენა, გამომც. „ინტელექტი“, თბ. 1996 წ.

18	ენისა და საგნის ინტეგრირებული სწავლება (ფილოლოგია)	HUS0CL ILP	II	5	არჩევითი	HUS0GSLR-1.1/1.2	სახელმძღვანელო ქართულ ენაში მომზადების პროგრამის სტუდენტებისათვის: ენისა და საგნის ინტეგრირებული სწავლების კურსი (ფილოლოგია); „მერიდიანი“; თბილისი, 2017.
19	ენისა და საგნის ინტეგრირებული სწავლება (ისტორია)	HUS0CL ILH	II	5	არჩევითი	HUS0GSLR-1.1/1.2	სტუდენტებისათვის: ენისა და საგნის ინტეგრირებული სწავლების კურსი (ისტორია); „მერიდიანი“; თბილისი, 2017
20	ენისა და საგნის ინტეგრირებული	HUS0CL ILM	II	5	არჩევითი	HUS0GSLR-1.1/1.2	1. გიორგი გაბუნია, სახელმძღვანელო ქართულ ენაში მომზადების

	ული სწავლება (მათემატიკა)						<p>პროგრამის სტუდენტებისათვის: ენისა და საგნის ინტეგრირებული სწავლების კურსი (მათემატიკა); „მერიდიანი“; თბილისი, 2015.</p> <p>2.ქართული ენის ელექტრონული სწავლების კურსი (http://www.ice.ge/web/elearning_geo.html)</p>
21	ენისა და საგნის ინტეგრირებ ული სწავლება (სამართალი)	HUS0CL ILJ	II	5	არჩევითი	HUS0GSLR-1.1/1.2	<p>კახა გაბუნია, სახელმძღვანელო ქართულ ენაში მომზადების პროგრამის სტუდენტებისათვის: ენისა და საგნის ინტეგრირებული სწავლების კურსი (სამართალი); „მერიდიანი“; თბილისი, 2015.</p>

22	ენისა და საგნის ინტეგრირებ ული სწავლება (ბიზნესი, ეკონომიკა)	HUS0CL ILBE	II	5	არჩევითი	HUS0GSLR-1.1/1.2	ნანა სირაძე, სახელმძღვანელო ქართულ ენაში მომზადების პროგრამის სტუდენტებისათვის: ენისა და საგნის ინტეგრირებული სწავლების კურსი (ბიზნესი/ეკონომიკა); „მერიდიანი“; თბილისი, 2015.
23	ენისა და საგნის ინტეგრირებ ული სწავლება (ბიოლოგია)	HUS0CL ILB	II	5	არჩევითი	HUS0GSLR-1.1/1.2	ხათუნა ტურაშვილი, სახელმძღვანელო ქართულ ენაში მომზადების პროგრამის სტუდენტ ებისათვის: ენისა და საგნის ინტეგრ ირებულის სწავლების კ ურსი (მედიცინა/ბიოლოგია); „მერიდიანი“; თბილისი, 2015.